საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/124

ქ. ბათუმი 30 ივნისი, 2023 წ

2023 წლის აგვისტოსთვის რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში მონაწილე ბსუ-ს თურქოლოგიის მიმართულების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 27 ივნისის №768827 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2023 წლის აგვისტოსთვის რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში მონაწილე ბსუ-ს თურქოლოგიის მიმართულების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 10 სტუდენტის გამოსავლენად **გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები**:

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენა სტუდენტთა პორტალის მეშვეობით **2023 წლის 30 ივნისიდან – 2023 წლის 10 ივლისის ჩათვლით 17:00 საათამდე;**

ბ) საბუთების შემოწმება და შეფასება - **2023 წლის 11 ივლისი, 10:00-14:00 საათი** (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი);

გ) გასაუბრება კომისიასთან - **2023 წლის 12-13 ივლისი;** (ზუსტი დრო დამატებით ეცნობოს კონკურსანტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე);

დ) საბუთების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტებში - არაუგვიანეს **2023 წლის 29 ივლისისა.**

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**

ა) მერაბ ხალვაში - რექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) თეონა ბერიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

დ) ემზარ მაკარაძე - აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის უფროსი;

ე) ლილე თანდილავა - ასოცირებული პროფესორი;

ვ) მარინე გიორგაძე- სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი;

ზ) ნანა ყურშუბაძე- უფროსის მოადგილე; მდივანი.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს -ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.
5. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**